შაბათი, 11 დეკემბერი, 1904 წ.

1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904

შაბათი, 11 დეკემბერი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.,
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 283 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 283

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

კვირას, 12 დეკემბერს,

მარიამ საველის ასულის ხანჯალაძის

გარდაცვალებიდგან ორმოცი დღის შესრულების გამო, თანდოევის ღვთისმშობლის ეკკლესიაში, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ, გარდახდილი იქმნება მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **პეტრე იაგორის ძე ხანჯალაძე, ეკატირინე იაგორის ასული, სტეფანე და ივანე საველის ძენი მანველოვები, სოფიო საველის ასული მანველოვისა და შტაბს-კაპიტანი გიორგი იოსების ძე შავგულიძე.**

წირვა დაიწყება 11 საათ., პანაშვიდი—$12^1/_2$ საათ. (1—1)

რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქციამ ბინა გამოიცვალა და გადავიდა უფრო მოხერხებულ ადგილას, სახელდობრ ბარონის ქუჩაზედ, სახლი კ. ალექსი-მესხიშვილისა, კალოუბნის ეკკლესიის გვერდზედ, ფოსტის მახლობლად.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ კვირას, 12 დეკემბერს, დილის 11 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია ქარ. დრ. საზოგადოების წევრთა არა ჩვეულებრივი კრება.

განსახილველი საგნები:

1. ბ. ბ. ზუბალაშვილების შემოწირულების შესახებ.
2. მოხსენება ქართულ თეატრის შესახებ.
3. მოხსენება აღმასრულებელ კომისიათა შესახებ.
4. ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის წლისა.
5. საზოგადოების არსებობის 25 წლის იუბილეის პროგრამმა.
6. ახალ წევრების არჩევანი. (3—3)

წარმოდგენა № 3.

ვეტცელის თეატრი

(მიხეილის პროსპექტი)

კვირას, 12 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის დასის-მიერ

წარმოდგენილი იქმნება

ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქმ., თარგმ. ცაგარლისა.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, ნ. მესხი, ლეჟავა, ჯავახიშვილი, ნებიერიძე და სხვ.; ბ-ნნი კ. მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ჩარკვიანი, შალიკაშვილი, ივანიძე, სარჯველაძე, იორდანაშვილი, წუწუნავა, მეტრეველი, ქივიძე, ბეჟანაშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: 1 რიგი—1 მან. 50 კ., 2, 3—1 მ. 25 კ., 4, 5 და 6—1 მან., 7, 8—80 კ., 9, 10—70 კ., 11, 12—60 კ., 13, 14 და 15—50 კ. ბალკონზედ ფეხზე დგომა—30 კაპ.

დასაწყისი 8 საათზედ.

ადმინისტრაცია ამხანაგობისა.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი.

ჟურნალ „ჯეჯილის" პრემია

ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი

იბეჭდება და ამ ცოტა ხანში დაურიგდება «ჯეჯილის» 1904 წლის ხელის მომწერლებს.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

შაბათს, 11 დეკემბერს,

მე-8 «გალა» წარმოდგენა

გასტროლი საიმპერატ. თეატრის არტისტ. ქალის ნადეჟდა ამბროსის ასულის **პაპაიანისა.**

წარმოდგენილი იქმნება

დემონი

ოპერა 3 მოქმედ., მუსიკა რუბინშტეინისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბუნაკოვისა, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, პოლუიანოვი, გალეცკი, დემიანენკო, ზალინსკი, და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი.** პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია.**

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეცევიჩი.

კაპელმეისტერი ნ. მიკლაშევსკი.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

კვირას, 12 დეკემბერს,

წარმოდგენილი იქმნება

ნერონი

ოპერა 4 მოქ. 6 სურ., მუსიკა რუბინშტეინისა.

სამშაბათს, 13 დეკემბერს,

პირველად ტფილისის სახაზინო თეატრში მესამე გასტროლი საიმპერატ. თეატრის არტისტ. ქალის ნადეჟდა ამბროსის ასულის **პაპაიანისა**

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

დუბროვსკი

ოპერა 4 მოქმედ. მუსიკა ნაპრავნიკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **«მანდარინის შვილი»,** ც. კიუისა.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კელლერი.

ტფილისის ეპარქიის **საეკკლესიო ნივთთა საწყობში,** რომელიც იმყოფება **სიონის ტაძრის გვერდზედ,** ისყიდება მრავლად: შესამოსელი, ფარჩეულობა, დიბები, ხატები და ყოველნაირი საეკკლესიო ნივთები ეკკლესიებისათვის და კერძოდ მყიდველთათვის იაფფასად. საწყობში **შეკვეთითაც** იკერება შესამოსელი.

ტფილისს გარედ მცხოვრებთ შეუძლიან მიჰმართონ ტფილისის სანთლის ქარხნის გამგეობას შემდეგის ადრესით: Г. Тифлисъ. Въ Управленіе Тифл. Епархсвѣчного завода.

(3—1).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ბ. აჯეტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზძლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. ხოლოდაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** $1^1/_2$—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

გ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას. 5 7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ზძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ურდანთგის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჭაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—დორისმელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

ვ. ს. მუსხელაშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სდოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ.; ოლგას ქუჩა, № 31.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

მომავალი ბრძოლა წყნარ ოკეანეზე. «ბალტიის მეორე ესკადრის მახლობელი და უმნიშვნელოვანესი დანიშნულება ის არის,—სწერს „რუს. ვედ.»-ის სამხედრო მიმომხილველი ვ. მ.—რომ მანჯურიაში გადმოსულ იაპონიის ჯარს გზა მოუჭრას და ზღვაზედ თვითონ გაბატონდეს. ამ აზრის შესრულება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ადმირალმა როჟესტვენსკიმ იაპონიის ფლოტის დამარცხება და დამარცხებულ ფლოტის იაპონიის ნავთსადგურებში მომწყვდევა მოახერხა. ამ საქმის შესრულება მეტად ძნელია, რადგან, ჯერ ერთი, იაპონიის ფლოტი როჟესტვენსკის ფლოტზე გაცილებით ძლიერია და, მეორეც, ადმირალ ტოგოსა და კამიმურას მეზღვაურები რუს მეზღვაურებზედ გაცილებით უფრო გაწრთვნილნი, გამოცდილნი და ნასწავლნი არიან. ადმირალ როჟესტვენსკის 7 ჯავშნიან გემსა და 7 კრეისერს ადმირალი ტოგო გამოუყვანს 14 ახალ კრეისერს, 14 ჯავშნიან გემსა და ჯავშნიან დიდ კრეისერს, რომელნიც საესკადრო ჯავშნიან გემებს თითქმის არაფრით არ დაუვარდებიან. ამ რიგად ადმირალი ტოგო ადმირალ როჟესტვენსკის ორჯერ უფრო ძლიერ ფლოტს დაუყენებს წინ. ამის გარდა კორეის სრუტის დასაცველდა და ადმირალს იტოს კიდევ დარჩება საკმაოდ კარგი ესკადრა: 2 საკანონირო გემი, 3 სანაპირო (ზღვის ნაპირების დამცველი) ჯავშნიანი გემი და სამი ძველი კრეისერი, რომელნიც ამ ცოტა ხანში განაახლეს და შეეიარაღეს. ამის გარდა უნდა გვახსოვდეს, რომ ადმირალ ტოგოს მეზღვაურები 10 თვის განმავლობაში ბრძოლის ქარ-ცეცხლში არიან გამოწვრთნილნი და 4 დიდ ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა; ადმირალ როჟესტვენსკის კი სულ ისეთი მეზღვაურები ჰყავს, რომელნიც არც ერთ ბრძოლას არ დასწრებიან და ზღვის ნამდვილი ბრძოლა სუნითაც არ უნახავთ. ამ გვარ პირობებში ადმირალ როჟესტვენსკის გამარჯვება მხოლოდ მაშინ იქნება მოსალოდნელი, როცა მას იაპონიის ფლოტზე გაცილებით ძლიერი ფლოტი ეყოლება. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა ერთი-ორად უნდა გაძლიერდეს, ე. ი. საჭიროა აწ წასულ ესკადრას მიეშველოს ბალტიის მესამე ესკადრა, რომელიც როჟესტვენსკის ესკადრაზედაც უფრო ძლიერი უნდა იყოს. ამ საკითხში უეჭველად უნდა დავეთანხმოთ კაპიტან კლადოს, რომელმაც უშიშრად დაჰგმო ის პოლიტიკა, რომელმაც «დიდი გემის ტვირთი პატარა ნავს დააკისრა». რუს მეზღვაურთ ისეთი საქმე მიანდვეს, რომლის შესრულება მათ არ შეუძლიანთ. ეს ყველასთვის იმდენად ადვილი გასაგებია, რომ მის განმარტება მეტიც არის; მხოლოდ საქმე იმაშია, თუ რაოდენად უნდა გაძლიერდეს შორეულ აღმოსავლეთის ესკადრა და შეუძლიან თუ არ რუსეთის საზღვაო სამინისტროს საჭირო გემთა და მეზღვაურთა შოვნა. საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია ადმირალ ტოგოს იმ ტაქტიკაზედ, რომელსაც მომავალში იაპონიის ადმირალი უნდა დაადგეს, და რომელიც ჩვენთვის, რასაკვირველია, საიდუმლოებით არის მოცული. იაპონიის ადმირალი, რასაკვირველია, ან სატევს, ან საგერს ტაქტიკას დაადგება (გუშინ და დღეს სინგაპურიდგან მოსულ დეპეშებიდგან სჩანს, რომ ადმ. ტოგოს ესკადრა, ან მისი ნაწილი 9 დეკემბერს სინგაპურს მივიდა და მერე ისევ გზას გაუდგა. აქედგან სჩანს, რომ ადმირალ ტოგოს ისევ სატევი ტაქტიკა აურჩევია). თუ იაპონელები სატევს ტაქტიკას დაადგებიან, მაშინ ისინი მთელ თავის ფლოტს ზონდის კუნძულებთინ მოუყრიან თავსა (ზონდის კუნძულები მდებარეობენ ავსტრალიის ჩრდილოეთ დასავლეთით, ჩინეთის სამხრეთით, ქალ. სინგაპურის მიდამოებში. მათ შორის უმთავრესი კუნძულებია: სუმატრა, იავა, ბორნეო, ცეილონი, ტიმორი და სხ.) ბინად იაპონიის ფლოტი იაპონიის სამხრეთ კუნძულებს გაიხდის, ე. ი. ან კუნძულ ფორმოზასა, ან პესკადორის კუნძულებს (ფორმოზის სრუტეში), ანაც რიუ-კიუს კუნძულებს (ფორმოზას აღმოსავლეთით). ამ შემთხვევაში ადმირალ როჟესტვენსკის ბრძოლა კუნძულ ფორმოზას სამხრეთით მოუხდება. ეს ადგილი ვლადივოსტოკიდგან (სწორე გზით) დაშორებულია 1,600 მილით, პორტ-არტურიდგან კი 1,080 მილით. აქ კი ნათლად ირკვევა მნიშვნელობა პორტ-არტურისა, რომელიც რუსეთისთვის უკვე დაკარგულია და რომელიც ყვითელ ზღვაში რუსეთის ფლოტისთვის ერთად ერთი თავშესაფარი ბინა იყო. ბრძოლის ველიდან ადმირალმა როჟესტვენსკიმ ვლადივოსტოკამდე 520 მილით მეტი უნდა გაიაროს, ე. ი, $2^1/_2$ დღე და ღამე ამას კი იმ შემთხვევაშიაც კი დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ მომავალ ბრძოლის გამარჯვება არც ერთ მოპირდაპირეს არ დარჩა; ხოლო თუ რუსეთის ფლოტი დამარცხდა, როჟესტვენსკის საქმე ძალიან გაუჭირდება. ამის შემდეგ ადმირალ როჟესტვენსკის მხოლოდ ისღა რჩება, რომ ფორმოზის წყლებში მომავალ ბრძოლის დროს რუსეთის ესკადრამ ხელდახელვე გაიმარჯვოს; ამისთვის კი საჭიროა, რომ რუსეთის ფლოტი იაპონიისაზედ ერთ მეოთხედით მაინც იყოს ძლიერი. თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ იაპონიის ჯავშნიანი კრეისერები მეორე ხარისხის ჯავშნიან გემს უდრიან, მაშინ ადმირალ როჟესტვენსკის უნდა ჰქონდეს, სულ მცირედ—7 საესკადრო ჯავშნიანი გემი პირველის ხარისხისა, 11 საესკადრო ჯავშნიანი გემი მეორე ხარისხისა და 18 კრეისერი, ე. ი. ეხლანდელზედ 11 ჯავშნიან გემითა და 11 კრეისერით მეტი უნდა ჰქონდეს. თუ ბალტიის ესკადრის წყნარ ოკეანეში მისვლისას იაპონიის ფლოტი საგერ ტაქტიკას დაადგა, ადმირალ როჟესტვენსკის ისევ ფორმოზის წყლებში საბოლოო ბრძოლა ურჩევნიან, რადგან ამ შემთხვევაში მისი საქმე უფრო გართულ-გაძნელდება. რადგან მას არც პორტ-არტურში წასვლა და, ნახშირის უქონლობის გამო, არც ყვითელ ზღვაში მოქმედების დაწყება შეეძლება; ამიტომ იგი იძულებული იქნება კორეის სრუტე გაიაროს და პირდაპირ ვლადივოსტოკისკენ გასწიოს. იაპონიის გარს შემოვლა კი შეუძლებელია, რადგან ოკეანეში ნალმოსან გემებს იმ დროს სიარული არ შეეძლებათ. ძლიერ ფლოტს, უეჭველია, იაპონიის ზღვაში გაბატონება შეუძლიან, მაგრამ საქმე ის არის, რომ იაპონიის სატრანსპორტო გემებს გზა იაპონიის ზღვაზედ კი არ უდევთ, არამედ ყვითელ ზღვაზედ (ნაგასაკსა და იოკაჰამიდგან შახეძუსა, დალნისა და ინკოუმდე) ამ გზის მოსაჭრელად ადმირალი როჟესტვენსკი ყვითელ ზღვაში უნდა გავიდეს, ე. ი მთელ თავის ესკადრით ვლადივოსტოკს 700—750 მილით უნდა დაშორდეს ხოლმე. მაგრამ თუ იგი ზემოხსენებულ ზღვაში ესკადრის ერთი ნაწილით გავიდა, ადვილი შესაძლებელია იაპონიის მთელ ფლოტს შეუხვდეს და დაიღუპოს. ამ გვარ პირობებში მყოფ ესკადრას ყვითელ ზღვაში გასვლა მხოლოდ მცირე ხნით შეუძლიან. ადმირალ როჟესტვენსკის ჯავშნიან გემთა უმეტეს ნაწილს ნახშირის საწყობთა

სიპატარავისა გამო მხოლოდ 2000—2200 მილის გავლა შეუძლიან; ამიტომ თუ როჟესტვენსკის ესკადრა ყვითელ წყალში გავიდა, იქ სამ დღეზედ მეტის დარჩენა არ შეეძლება. ამის შემდეგ რის გაკეთება შეუძლიან ბალტიის ესკადრას შორეულ აღმოსავლეთში? თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გემებზედ ნახშირის დადებას 3—4 დღე სჭირდება და ყვითელ ზღვამდე ჩასასვლელად 6—7 დღე მოუნდება, აქედგან ის გამოვა, რომ რუსეთის ფლოტი ყვითელ ზღვაში თვეში მხოლოდ ორჯელ გავა და იქ მხოლოდ 6 დღეს დარჩება, თვეში 24 დღის განმავლობაში კი იაპონიიდგან მანჯურიამდე გზა ისევ გახსნილი იქნება. ეხლა კი მშვენივრად მოსჩანს ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ყვითელ ზღვაში სამოქმედოთ პორტ-არტურს ჰქონდა. უპორტარტუროთ ჩვენ იმის ოცნებაც კი არ შეგვიძლიან, ვითომ რუსეთის ფლოტს ვლადივოსტოკიდგან იაპონიის ჯარის გზის მოჭრა შეეძლოს. პორტ-არტურიდგან ძლიერი ფლოტი რამდენიმე საათის შემდეგ პეჩილიის სრუტეშიაცა და ილუს შესართავშიაც გაჩნდება, და თუ ამ ფლოტმა ელიოტის კუნძულებზედ ბინაც გაიჩინა, მაშინ მას მანჯურიის ნაპირების ალყის შემორტყმაც კი შეეძლება. რაკი დღეის შემდეგ რუსეთის ფლოტი პორტ-არტურის ნავთ-სადგურს თავის ბინად ველარ გამოიყენებს, ამიტომ იგი შორს გადაკარგულ ვლადივოსტოკით ვერ დაკმაყოფილდება, ამიტომ და უნდა ეცადოს ბინა ყვითელ ზღვის შესავალთან იშოვოს, მაგალითად ან კუნძული კველპარტი, ანაც გამილტონის ნავთ-სადგური. ამის გარდა საჭიროა როჟესტვენსკიმ ზემოხსენებულ კუნძულსა და ვლადივოსტოკს შუა მეორე შემაერთებელი ბინაც იშოვოს, ე. ი. საჭიროა დაიპყროს ძლიერ გამაგრებული კუნძული ცუსიმა, რომელსაც კორეის სრუტე ხელში უჭირავს. ამ აზრის განსახორციელებლად როჟესტვენსკის უფრო მეტი ძალა უნდა, ვიდრე ტოგოს — დასამარცხებლად, მას ერთნახევარჯერ მეტი გემი უნდა ჰქონდეს, ე. ი. 8 საესკადრო ჯავშნიანი გემი პირველ ხარისხისა და 23 კრეისერი. თუ ამას ვლადივოსტოკის რაზმს გამოვაკლებთ, მაშინ როჟესტვენსკის უნდა ჰქონდეს: 8 საესკადრო ჯავშნიანი გემი 1 ხარისხისა, 13 საესკ. ჯავშ. გემი მეორე ხარისხისა და 22 კრეისერი, სულ 43 დიდი გემი. რადგან ეხლა ადმირალ როჟესტვენსკის მხოლოდ 14 დიდი გემი აქვს, ამიტომ ბალტიის მესამე ესკადრა უნდა შესდგეს 29 ჯავშნიან გემისა და კრეისერისაგან. ეს, რასაკვირველია, მხოლოდ დაახლოვებით არის ნანგარიშევი, მაგრამ აქედგან სჩანს, რომ ბალტიის მესამე ესკადრა, რომლის გაგზავნასაც აპირობენ, უკვე წასულ ად. როჟესტვენსკის ესკადრაზედ ორჯელ უფრო ძლიერი უნდა იყოს». (რ. ვ.).

—

წვრილი ამბები. გაზეთ «ბერ. ლოკ. ან.»-ს ტოკიოდგან დეპეშით ატყობინებენ: პარლამენტის სხდომის დროს იაპონიის საზღვაო მინისტრმა, იამამოტომ იაპონიის ყველა მცხოვრებთა სახელით იაპონიის ჯარსა და ფლოტს მადლობა გადაუხადა. ჯარმა და ფლოტმა, — სთქვა მინისტრმა, — ათასგვარ და საშინელ დაბრკოლებას უკვე სძლია და ეხლაც მზად არის წინანდელზედ უარეს დაბრკოლებას სძლიოს და ერთხელვე დანიშნულ აზრის განსახორციელებლად ყველაფერს გასწირავს. ჯარი და ფლოტი მზად არის ყოველივე მისდამი მინდობილი საქმე ისევე აღასრულოს, როგორც ომის დაწყებიდგან აქამდე აასრულა (რ. ვ.).

ახალი ამბავი

—

ქალაქის მოურავი ქ. ა. ვერმიშევი გუშინ წარუდგა მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალ ლეიტენანტს ი. დ. მალამას.

⁂ **ტფ. ოლქის სასამართლო სესია გორში.** 9 დეკემბერს ქ. გორში გაემგზავრა ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის დროებით განყოფილების სესია. სასამართლოს თავმჯდომარეობს პ. ა. იფლიანდა; წევრებად არიან ნ. ა. ტარსაიძე და ბრალმდებლად — ბრალმდებელის ამხანაგი ი. ს. კალვაიტისი. სესია დაჰყოფს გორში 16 დეკემბრამდე.

⁂ **ქუთაისის ნაფიც-ვექილთა კრება.** 4 დეკემბერს ქუთაისში მოხდა ქუთათურ ნაფიც ვექილთა საერთო კრება, თანახმად მათის წესდებისა. კრებას დაესწრო ოცზე მეტი ნაფიცი ვექილი და მათი თანაშემწენი. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა: გაუგზავნოს 21 ნოემბერს მომხდარ პეტერბურგელ საერთო ვექილთა კრების თავმჯდომარეს ბ-ნ კორსაკოვს შესაფერი დეპეშა (ც. ფ.).

⁂ **მკვლელობა.** ქუთაისიდგან გვატყობინებენ, რომ 6 დეკემბერს, მწვანე ბაზარში მოჰკლეს პოლიციის აგენტი ი. პასიკოვი, ტომით სომეხი. თუმცა პოლიციამ სასტიკი განკარგულება მოახდინა მკვლელის შესაპყრობად, მაგრამ ჯერ მისის კვალისთვისაც ვერ მიუგნიათ.

⁂ **ქალაქის მოურავს** ქ. ა. ვერმიშევს გუშინ-წინ, ქალაქის გამგეობის სადგომში დაუბარებია სავაჭრო სამეურნეო პოლიციის მოხელეები და დაუვალებია, მეტი ენერგია გამოიჩინონ საქალაქო ხარჯების აკრებაში და აგრეთვე სასტიკი ყურადღება მიაქციონ ყასბების თავგასულობას, რომ არ გადაუხვიონ საბჭოს მიერ გადაჭრილ ხორცის ნიხრსა.

⁂ **ბათუმის ქალაქის მოურავი** თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი გუშინ-წინ ტფილისიდგან ბათუმს გაემგზავრა.

⁂ **თავად-აზნაურთა ყალბ საბუთების საქმე.** „ნოვ. ობოზ.“-ს ატყობინებენ, რომ თავად-აზნაურთა ყალბის საბუთების ცნობილი საქმე, რომელიც დანიშნული იყო გასარჩევად ქუთაისში მიმდინარე წლის 7 დეკემბერს, რადგანაც ბრალდებული დადიანი, ბარკალაია და ადამია არ გამოცხადნენ, მომავალი 1905 წ. 3 მარტისათვის გადაიდო.

⁂ **პოლიცმეისტერის განკარგულება.** ტფილისის პოლიცმეისტერმა დაავალა ქალაქის ბოქაულებს გამოუცხადონ სამიკიტნოების მეტრაქტირეებსა და დუქან-რესტორანების პატრონებს, რომ 15 დეკემბრამდე შემოიტანონ განცხადება ვისაც მომავალ წლისათვის პატენტის აღება სურთ.

⁂ **გეოგრაფიულ საზოგადოების კრება.** სამშაბათს, 14 დეკემბერს, დანიშნულია კავკასიის საიმპერატორო გეოგრაფიულ საზოგადოების წევრთა კრება. ამ კრებაზედ ცნობილი ენათა მცოდნე ა. მ. დირრი წაიკითხავს თავის მოხსენებას: «კავკასიის ენათა მდგომარეობა, მისი ისტორია და მერმისი».

⁂ **ბ-ნ ლ. ანდრონიკაშვილი** ბაქოს ქალაქის იურის-კონსულტი, როგორც «კასპი» იუწყება, თავის თანამდებობას თავს ანებებს და პეტერბურგს მიდის.

⁂ **ქ. ა. ჩხეიძეზედ თავდასხმა.** «პალმის» გაზეთი იუწყება, რომ 8 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ოთხი ბოროტმოქმედი თავს დასხმია ექიმ კ. ა. ჩხეიძეს, 75 მანეთი წაურთმევიათ, და გაქცეულან. პოლიციამ შესაფერი ღონისძიებანი მიიღო ავაზაკების დასაჭერადა, მაგრამ ამაოდ.

⁂ **ხევსურეთიდგან ატყობინებენ** «ცნ. ფურ.»-ს: რომ სოფ. შატილში წასულ კენჭ-ნარგებ ხევსურების ჩამოსაყვანად ბოქაულებს ფშავ-ხევსურეთისას ოზიაშვილს, ერწოისას - ცისკარაშვილს და თარჯიმანს — ყარალაშვილს 22 საერობო დარაჯთა რაზმით უკვე ჩამოუვლიათ. თიანეთის მაზრის უფროსის განკარგულებით, ბოქაულები შეჰპირებიან ხევსურებს, კენჭ-ნარგებ ყმაწვილებს რუსეთში აღარ გაიყვანთ სამსახურში და აქვე, საქართველოში ჩავრიცხავთო. ახლად კენჭ-ნარგები ხევსურები წამოუყვანიათ და დუშეთის სამაზრო-სამხედრო უფროსისათვის გადაუციათ.

⁂ **მნათის არჩევნები.** ორჯერ დანიშნული კრება ვერის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიის მრევლისა მნათის ასარჩევად არ შესდგა და მესამე კრება დანიშნულია ხვალ, კვირას, 12 დეკემბერს.

⁂ **ნავთის მრეწველთა საგანგებო კრება** ბაქოში დაიწყო 9 დეკემბერს. კრებამ უნდა ამოირჩიოს სამთა-მადნოსამრეწველო საბჭოში თვისი რწმუნებული.

ტფილისის გოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ-ნი ნდუნი ამ დღეებში გაემგზავრება საფოსტო დაწესებულებათა სარევიზიოდ.

საქართველო

—

ს. გურჯაანი (სიღნ. მაზრა).

ქურდობა და უცნაური ყარაულები. — ურკინის გზობა და „გზა საწყინოდ სავალი“. — ქესატობა. —

არა ეშველარა საცოდავს კახელებს: ჯერ იყო და ქურდებმა ამოარჩიეს სული, მოუპარავი აღარა გაუშვესრა, ეხლა იძახიან — ქურდობამ იკლოვო. ბატონო, კი არ იკლო, მოსაპარავი რო აღარა გაუშვესრა ქურდ-ბაცაცებმა, აბა რაღა უნდა მოიპარონ? საყდარი აღარ გაუშვეს გაუტეხავი და სახლი! კამეჩი, ხარი, ცხენი სადღაა? რაც ათის წლის წინ საქონელი იყო, ეხლა იმის ერთი მეათედიც აღარსად არის.

ვითომ სიკეთე გვიყვეს და ყარაულები დაგვიყენეს, მაგრამ სიკეთე კი ვერა ვნახეთ-რა. დაბინავდნენ, ბატონო, შუა სოფლებში თავის ცხენებით და ააგეს ნეხვისა და სხ. უწმინდურობის ზვინები. ნეტავი ერთი ქურდი დაეჭირათ, ნეტა ერთი ნაქურდალი წაერთმიათ ვისთვისმე. იღებენ ოხრათ ჯამაგირსა და ქეიფობენ, თითონ წითლათ გაუდით ყინჟილი და ცხენები კუნტრუშობენ. ვინ არის პატრონი, რომ ეს მუქთა ჭამიები მოგვაშოროს?

—

სწორედ ღმერთმა აიღო ჩვენზე ხელი: გვიხაროდა რკინის გზას მალე გაგვიკეთებენ და ჩვენს ნაჭირნახულევს ბაზარში საითმე გავიტანთო! ატყდა ომი და ჩვენს სიხარულს ქვა აღმართში მოეწია და ცხვირი დააშვებინა. ამას ვილა ჩივის, ე რაღაც გზა-ტკეცილი იყო, ამისგანაც ხომ ხახა მშრალები დავრჩით: ისე გაფუჭდა სახელმწიფო გზა ტფილისისაკენ, რომ ხშირად ათ-ათ ცხენს ფურგუნში აბამენ, ათ-ათ უღელ ხარ-კამეჩს ურემში. ამიტომ ფურგუნის ქირა და ურმისა სამთუმან ნახევრამდე ავიდა და ქირაობაც აღარ არის, ღვინოები გასასყიდი ჰხირია და ვართ ასე ცეცხლზედ წყალ-დასხმულნი. ნეტა ე ინჟინერებმა რათ წაგვიხდინეს გზები, მუშებს ბევრს ამუშავებდნენ და დასაყრელი ქვა ხომ ბევრი იყო!

ბაზარში გასაყიდად წასაღები ბევრი რამ გვაქვს, მაგრამ უგზოობით ვერსაით ვერა წაგვიღია-რა და ვართ ასე ცის ინაბარა.

ვენახებისათვის ქიგო ხომ მამასისხლათ გახდა, შოვნაც აღარ არის. ათასნაირი ხარჯი თავისას არ იშლის და გამორჩომა კი არსად რა გვიჩანს.

ნეკერა.

—

ოკრიბა. (ქუთაისის მაზრა).

(ჯაჭვი ერთობისა. — უკან ჩამორჩენა. — მოსავალი.)

ყველამხრიდან მოსდის გაზეთს ამბავი და ამ ჩვენ ოკრიბიდან კი არა. გაზეთები სავსეა წერილებით, რომელშიაც ხალხის ჭირ-ვარამია გამოთქმული. ეს კარგია, აკავშირებს ერთ ტაფაში დამწვართ, იჭედება ჯაჭვი ერთობისა. საჭიროა ჩვენი ოკრიბაც გაერიოს მარაქაში; ამანაც იგრძნოს, რომ ესეც წევრია საერთო ოჯახისა, ერთი პატარა კუნჭულია მშვენიერის საქართველოსი.

გლეხის გონებამაც დაიწყო ახლა გამოფხიზლება. უფართოვდება გლეხსაც მოთხოვნილება, გლეხმაც გაიგო გემო ცხოვრებისა. გაიგო, რომ იმასაც დაშვენდება კარგი ჩოხა, კალოშები და სწავლასაც უკეთ ითვისებს, ვიდრე ბატონის შვილი. თუ გუშინ ერთით კმაყოფილი იყო, დღეს ხუთიც არ აკმაყოფილებს და მხნედ გაიძახის: მეტი სინათლე, მეტი უფლებაო.

ოკრიბას კი სძინავს. რკინის გზა აპობს მთელს ოკრიბას შუაზე და გადის ბოლომდის, მაგრამ ესეც არ ჰშველის აქაურობას. რაჭა-ლეჩხუმში, რომელიც დიდ მანძილზე არის დაშორებული ქუთაისზე, უფრო წინ არის სწავლით, გონებით. მიზეზი უფრო ის არის, რომ ოკრიბელს იშვიათად შეემთხვევა სხვა-და-სხვა ქალაქში მუშათ ან ლაქიათ ყოფნა. ძალიან ძნელია ოკრიბელი მოაშოროთ თავის კერას და დაარწმუნო, რომ იმასაც შეუძლია გასძლოს ქალაქში. ოკრიბელი ჩამოდის ქუთაისში სულ ერთს საათს ქვეითად, გაჰყიდის თავის ნაწარმოებს და მიეშურება ისევ თავის მჭვარტლიან სახლში.

ოკრიბა საკმაოდ დიდია, თუ არ ვცდები, 9 სამამასახლისოზე მეტი იქნება და იმდენად დავიწყებულია ყველასაგან, რომ ერთი სამრევლო სასულიერო სკოლის მეტი არ არსებობს. ოკრიბელი გლეხი იძულებულია ამის გამო შვიდის წლის ბავშვს ძროხაში და ცხვარში უკრას თავი. შეიქმნება 12 წლის თუ არა, იმის მაგივრად, რომ ათავებდეს ორ კლასიან სასწავლებელს, გვერდით იყენებს და ერთად ეწევიან შრომას.

ოკრიბა საშუალო შემოსავლიანი მხარეა. მოსდით სიმინდი, ღომი, ლობიო, ღვინო და აუარებელი ხილეულობა. ხალხი მშვიდია. ოსტატს კაცს შეუძლიან ტყავი გააძროს და ხმას არავინ გასცემს

უყვართ «კალონები» (კანონები) და საჩივლელად მიეშურებიან ქუთაისის სამსაჯულოში.

სტუმარი.

რუსეთი

—

პეტერბურგი.

საქართველოს ეკკლესიის კათედრა. — უ.-სამდვდ. კირიონის წყალობა. — აკადემიის რექტორი.

როგორც მკითხველებმა უწყიან, პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა ბიზანტიის ისტორიასთან ერთად და პროფესსორად დაინიშნა დოქტორი საეკკლესიო ისტორიისა ი. ი. სოკოლოვი. ბ-ნი სოკოლოვი წელს კითხულობს ლექციებს ბიზანტიის საეკკლესიო ისტორიისას, ხოლო მომავალ წლიდგან დაიწყებს ლექციების კითხვას საქართველოს ეკკლესიის შესახებ; ამ ლექციებისათვის ახლავე ემზადება პროფეს-

---

ფელეტონი

—

ბუდურაზედ.

(ამბავი)

იანვარი იყო. საშინლად ჰყინავდა. ყველა თავის სახლში მიმალულიყო ბუხართან თბილათ მოეკალათნა. სოფელს სრულიად არ ეტყობოდა ის სიცოცხლე და მოძრაობა, რომელიც მისი დამახასიათებელია ზაფხულში.

დღისით მოღრუბლული იყო. ღამე კი მოიწმინდა, რის გამოც ყინვამ უფრო გამოიჩინა თავისი სუსხიანი ძალა. აქა-იქ გაისმოდა ძაღლების ყეფა; მაგრამ ეტყობოდა, რომ ისინიც შეტუქსა ბუნებამ და თბილი ადგილები მოაძებნინა. ამოვარდა ხმელი და ცივი ქარი. კაცს მეორედ მოსვლა ეგონებოდა, იგრე გრიალებდა ქარი კარში და იმისი წუწუნი ადამიანს რაღაც საიდუმლო ფიქრებსა ჰგვრიდა. ქარი თან და თან ძლიერდებოდა, გლეჯდა ალაგიდგან თოვლს, ატრიალებდა დიდხანს ჰაერში, სანამ რომელსამე მივარდნილს ალაგას არ მიანამქერებდა.

მოახლოვდა შუაღამე. ს. ვ—ს მცხოვრებლებს დიდიხანია, რაც დაეძინათ. მხოლოდ ერთს მივარდნილ ადგილას ლამპარი ისევ ბჟუტავდა. იქიდან მალ-მალ მოისმოდა დედა-კაცის ხველა და კვნესა. მის გვერდით პატარა სამფეხა სკამზედ იჯდა იმისი ქმარი თედო. ბალღები, თუმცა დაწოლილიყვნენ, მაგრამ ეტყობოდათ, არ ეძინათ: წამოვარდებოდენ ლოგინიდგან და ტირილით იძახდნენ: «დედილო, მშიან, მცივა!» თებროს (ასე ეძახოდნენ თედოს ცოლს) ამ სიტყვებზედ უფრო ძალიან აუვარდებოდა ხოლმე ხველა, რომელსაც სისხლს ატანდა და, როდესაც მოსულიერდებოდა, დაიწყებდა წუწუნს: «შე, დალოცვილო ღმერთო, რა დაგიშავეთ, რომ ამ ყოფაში ჩაგვყარევი! ამოდენა ტანჯვას ის არა სჯობია, რომ ერთს დღეს დავიხოცნეთ?! რომელი უნდა აიტანოს ადამიანმა, შიმშილი, სიცივე, თუ ავადმყოფობა!» შემდეგ დაიწყებდა ქვითინს; იმის ქვითინს ბანს აძლევდა ქარი, რომელიც ძლიერებით უბერავდა და იმათ მოწნულ ქოხის ერთი მხრიდგან მეორე მხარეში გაისისინებდა ხოლმე. ბავშვები, ამის გამო, შეინძრეოდნენ ხოლმე, კიდევ უფრო მოიკრუნჩხებოდნენ, მიეკვროდნენ ერთმანეთს, რომ თავიანთი სითბოთი ერთმანეთი გაეთბოთ.

თედო ჩაფიქრებული იჯდა. თავის ოჯახის მაყურებელს ოხვრა ამოსკდებოდა ხოლმე გულიდგან. «დასწყევლოს ღმერთმა, ფიქრობდა გულში, რა უკულმართად არის ყველაფერი მოწყობილი!.. ყველაზედ მეტს მე ვშრომობ, წელებზედ ფეხს ვიდგამ, მაგრამ ყველაზედ მშიერი კი მე ვარ!.. მე აქ ცოლშვილი შიმშილით მეხოცება, ზოგს კი ბეღლები სავსე აქვს პურითა! მე აქ სიცივით ვიყინები და ი მუდრეგ ტყეებში კი შეშა ტყუილათა ლპება! ეჰ, სად არის სამართალი!» წაილაპარაკებდა ხოლმე თედო.

თედო ღარიბი დედ-მამის შვილი იყო. როდესაც გაეყარა თავისს ძმებს, სულ ორი დღის სახნავი მიწა ერგო და ნახევარ დღიური ვენახი. ჰხვდა კიდევ წილად ხუთმეტი თუმანი ვალი. ის დღეა და ის დღე. თედო ველარ ამოვიდა ამ ვალიდგან. პურს მოიყვანდა, თუ ღვინოს დასწურავდა, მაშინვე მოვალე ჩამოუჯდებოდა ხოლმე კარებზედ და იმისი სარჩო თავისს უმოწყალო სარგებელში მიჰქონდა. დღიურის შრომით-და გამოდიოდა და ცოლშვილს ლუკმა პურს აჭმევდა. მაგრამ ეს სალსარიც მოესპო, რადგანაც საშინლად დაბერდა და სხვების ტოლა გაკეთება აღარ შეეძლო. ამიტომ თითქმის აღარავის მიჰყავდა სამუშაოდ.

ძალიან გაუჭირდათ ცხოვრება. თებრო დადიოდა ხან პურის საცხობლათ, ხან მრეცხავათ, შოულობდა თითო-ოროლა გროშს (ეგრე იტყოდა ხოლმე თებრო) და ოჯახს აღონღიალებდა. ბევრის შრომისა, შიმშილისა და სიცივისაგან თებრო დასნეულდა, ქლექად ჩავარდა და იმათ ოჯახს გამოეცალა ეს მეორე დედაბოძი. ერთი ძროხა ჰყავდათ და პატარას იმითი გამოდიოდნენ იოლას, მაგრამ იმასაც მოჰკრეს ბოქაულის გამოგზავნილმა ჩაფრებმა ხელი და ფოსტის ფულში გაუყიდეს. დარჩნენ ასე ღვთის ინაბარად თედო და იმისი ცოლშვილი. «ღმერთმა ამოაგდოს ძირიან ფესვიანად ჩვენი დამღუპველები», ჩაილაპარაკებდა ხოლმე თებრო. «არა, კაცო, არ შემიძლიან ამოდენა საცოდაობის გაძლება», იტყოდა ხოლმე თებრო, როდესაც გადაჰხედავდა თავის ბალღებს.

ადამიანის ბუნებამ თავისი გაიტანა და თედოს ცოლს მიეძინა; ბალღებმაც ხვრინვა ამოუშვეს. ღვიძა მხოლოდ თედოს. თავ-ჩაკიდებული, ღრმა ფიქრებში იყო წასული. ის უცბად წამოდგა, სახეზედ გამბედაობის ნიშანი დაეტყო, მივიდა კუნჭულში, იპოვნა გუდა, გადიგდო მხარზედ და კარში გამოვიდა.

— მურა, მურა, მურა! დაუძახა თედომ თავიანთ ძაღლსა, რომელიც დერეფანში მიგდებულიყო. ძაღლი წამოხტა, გაიზმორა, დაიწკმუვლა, დასუნა ნიშნად ალერსისა, კუდის ქნევა დაუწყო და ფეხ-და-ფეხ გაჰყვა თავის პატრონს.

ქარი საშინლად ღმუოდა და თედოს შიგ თვალებში აყრიდა თოვლსა. თედომ გაიარა თავის ეზო, გადუხვია გზას, შევიდა ვენახში და, ცოტა ოდენის სიარულის შემდეგ მიადგა ერთს მაღალს ღობეს, რომლის იქითაც მღვდელი სცხოვრებდა. გულმა აჩქარებით დაუწყო ცემა; მუხლები უკანკალებდა: ამის მეტად ქურდობა არ ჩაედინა. სვინიდისი ძალიან აწუხებდა. დააპირა უკან გამობრუნება, მაგრამ უცბად მოაგონდა თავისი ავადმყოფი და მშიერი ცოლი; მოაგონდა ბალღების ტირილი პურის გულისათვის, მოაგონდა ამასთანავე მღვდლის სავსე ბეღელი, მარანი, რომელშიაც გუშინ ფქვილით სავსე ტომრები მოიტანეს. გადავიდა ღობეზედ და ძაღლიც გადაჰყვა თან. გადავიდა თუ არა ღობეზედ, ფრთხილმა ძაღლებმა მაშინვე გაიგეს, წამოხტნენ და მიაშურეს ყეფით იმ ადგილას, საიდგანაც ფეხის ხმა მოესმათ. თედო მიიმალა ღობის ძირას და გაშეშდა. თედოს ძაღლი მაშინვე უკან დაიძრა, მასვე გამოუდგნენ სხვა ძაღლებიც. თედომ ხელთ იგდო მარჯვე დრო, საჩქაროდ მივიდა მარანთან, გააღო კარები, შევიდა შიგ, მიაწყდა ხან ერთს კედელს ხან მეორეს. როგორც იყო მიაგნო ტომარას, მოიხსნა გუდა, გაავსო ფქვილით და უკან გამობრუნდა. ძაღლებს საშინელი გაგანი გაჰქონდათ შორს ვენახებში. თედომ ნაბიჯს მოუმატა, მალ-მალ მოიწმენდავდა

სორი. საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესასწავლი სახელმძღვანელო წიგნები დღემდის ძლიერ ცოტა იყო პეტერბურგის აკადემიის ბიბლიოთეკაში; დღეს კი ამ მხრივ, შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, ჩვენის აკადემიის ბიბლიოთეკა მდიდარია ყოვლად სამღვდელო კირიონის გულ-უხვობის წყალობით. ყოვლად სამღვდელო კირიონმა წელს მაისში, როცა პეტერბურგში ბრძანდებოდა, დაათვალიერა ჩვენის აკადემიის ბიბლიოთეკა და მიაქცია დიდი ყურადღება ქართულ წიგნებს, რომელიც ძლიერ ცოტა ჰპოვა. მათმა მეუფებამ შეავსო ეხლა ნაკლულევანება ჩვენის ბიბლიოთეკისა — შემოსწირა აკადემიას 67 ქართული ისტორიული და სალიტერატურო გამოცემანი და 27 ცალი ამნაირივე გამოცემანი რუსულ ენაზედ.

რექტორი აკადემიისა, ყოვლად-სამღვდელო სერგი, რომელიც თავისუფლად ლაპარაკობს ინგლისურად, ფრანგულად, ნემეცურად, იაპონურად და ბერძნულად, შეუდგა ქართულის ენის შესწავლას იმ აზრით, რომ გაიცნოს ჩვენის ეკლესიის ისტორია.

პეტერბურგის სასულიერო აკადემიის სტუდენტი მღვდ. ალ. გიორგაძე.

«რუს. ვედომ»-ში დაბეჭდილ წერილის ავტორს სურს გააცნოს მკითხველ საზოგადოებას ის შედეგი, რომელიც ფინლიანდიაში მომხდარ აგიტაციას მოჰყვა. ავტორი ამბობს:

«იმ სხვა და სხვა ღონისძიებამ, რომელიც მიმართული იყო აგიტატორების წინააღმდეგ, ზარალი უფრო მისცა საზოგადოებას, ვიდრე სარგებლობა — როგორც ზნეობრივად, ისე ქონებრივაც. როგორც შავი ღრუბელი, ისე მოედო საზოგადოებას და ყოველ წუთს სიკვდილსა და განადგურებას უქადდა იმას, ვინც, კარჩაკეტილში ჯდომის მაგივრად გაუფრთხილებლობით გარედ გამოსვლას გაჰბედავდა. მერე ვინ იყვნენ ეს აგიტატორები, რომელთაც «მოსკ. ვედომ.»-ი ისე არ ახსენებს, თუ არ მიუმატა სიტყვა «ავაზაკი», «დამთხვეული?» ბევრნი მათგანნი — ცვალებადია წუთი სოფელიო — განაგრძობს ავტორი — საზოგადოების ნდობით აღჭურვილნი სხვა და სხვა დაწესებულებაში თავმჯდომარეობდნენ, აგიტატორად ვიგულისხმებდით ხოლმე გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს, პატრიოტებს, რომელნიც, შეძლებისა და გვარად, იბრძვიან, რათა დაიცვან და დაიფარონ ის, რაც კანონიერ საქმედ მიაჩნიათ.

ფინლიანდიის ოფიციალური გაზეთი მე-67 №-ში 1903 წ. სრულის გულ დამშვიდებით ჰხსნის იმ ვითომდა კანონიერ სხვა და სხვა საადმინისტრაციო ღონისძიებას, რომელიც მიღებულ იქმნა ზოგიერთების წინააღმდეგ. გაზეთი განმარტავს: «სენატორი — მოხელენი განძევებულ იქმნენ ხელმძღვანელობისათვის, რომელსაც დიდის ხნიდან უწევდნენ ფინლიანდიის ავტონომიას, აგრეთვე საზოგადოებაში პატრიოტულ მოღვაწეობისათვის. ექიმი ლილლე გაზეთ Nwa Pressen-ის [1] რედაქტორი იყო, და ეხლა არ არის, თავის გაზეთით იმათვე ემსახურებოდა. გრაფი მანნერგეიმი და მისი ცოლი, მომღერალი ქალი აინო მანნერგეიმი მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ეროვნულ განათლების წინსვლაში. ელჩი ევგენი ვოლფი პოლიტიკის მხრივ ცნობილია თავის სიტყვით, რომელიც წარმოსთქვა პეტერბურგში ადრესის მირთმევის დროს. მექარხნე რეგულ ვოლფიც ამისი ძმაა და უთუოდ მოღალატე იქნება, რადგანაც თავისი მუშები და ის საზოგადოება, რომელშიაც თითონ სცხოვრობდა, გონებრივად შესამჩნევად განავითარა და წინ წასწია». ზოგიერთი ეს ცნობა ხსენებულმა გაზეთმა სტოკჰოლმის გაზეთ Aftonbladet-იდგან გადმოიღო, და თითონაც, თავის მხრივ დასძინა: «სრულიად საკმარისია ეს დანაშაული, რათა დამნაშავენი ღირსეულად დაისაჯნენო. მე კი ჩემის მხრივ დავუმატებ, რომ მომეტებული იმათგანი იყვნენ ავტორები მთავრობისათვის სასარგებლო წერილებისა 1900 წ. დიაღ, ასეთი იყო ოფიციალური აზრი იმ დამნაშავე აგიტატორების შესახებ, რომელთა საწინააღმდეგოდაც მიიღეს მკაცრი და სასტიკი ღონისძიებანი: მოსპეს ძველებურნი კრებანი, გაამრავლეს პოლიციელები და ჩააცვეს მათ რუსული «მუნდირები»; 1903 წ. ოკდომბერს დაამტკიცეს ჟანდარმების ახალი ინსტრუქცია, რომლითაც ეძლევათ უფლება გამოიძიონ პოლიტიკური საქმე, და სხვა და სხვა დაწესებულებანი ვალდებულნი გახდეს დახმარება აღმოუჩინონ. დაამტკიცეს ფინლიანდიის ჟანდარმების შტატი 660,000 მარკის ხარჯთაღრიცხვით წელიწადში; ეს ფული მძიმე ტვირთად დააწვა ქვეყანას. 1903 წ. მარტში გამოქვეყნებულ დაბულების ძალით, ნება ეძლევათ გაჰყიდონ იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერება. 1903 წ. მარტის 20 დამტკიცდა დებულება, რომლის ძალითაც უნდა დაცულ იქმნას სახელმწიფო წესწყობილება და საზოგადოებრივი კეთილ-დღეობა. გენ.-გუბერნატორსაც განუზომელი უფლებანი მიანიჭეს: სხვათა შორის მას შეუძლიან გააუქმოს სასტუმროები, წიგნების საწყობნი, დუქნები და ყველა სავაჭრო თუ სამრეწველო დაწესებულება; აუკრძალოს ყოველ გვარი კრება და განაძეოს ის, ვისაც, თავის აზრით, მავნებელ კაცად დაჰსახავს. ამას მოჰყვა დევნულება, განძევება სამშობლოდგან, დაპატიმრება, გაჩხრეკა სახლებისა და სხვა გვარი უსიამოვნება — უსახელო წერილები და ჯაშუშობა.

უცხოეთი

საფრანგეთი. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ წინა ხანებში საფრანგეთის პალატაში დეპუტატმა სივეტონმა (ნაციონალისტია) სამხედრო მინისტრს, გენერალ ანდრეს, სილა გაარტყა. ამ ამბის შემდეგ გენერალი ანდრე სამსახურიდგან გადადგა, სივეტონმა კი ორიოდე კვირის შემდეგ თავი მოიკლა. სივეტონის სიკვდილმა საფრანგეთში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კლერიკალთა და ნაციონალისტთა გაზეთები სივეტონის სიკვდილს მემარცხენეთ აბრალებდნენ, იმათ მოჰკლესო. უფრო ზომიერნი კი ამბობდნენ, სივეტონს სამართალში მიცემისა შეეშინდა და თავი მოიკლაო. როგორც ეხლა აღმოჩნდა, ორივე დასი სცდებოდა. ნამდვილად კი საქმე ამ ნაირად ყოფილა: მაისში სივეტონის გერი ვექილ მენარს მისთხოვდა. მენარმა შეიტყო, რომ იმის ცოლი და სივეტონი ძალიან დაახლოვებულნი ყოფილან და ამის გამო სივეტონს მოელაპარაკა, და უთხრა, ისევ შენ თვითონვე მოიკალი თავი, თორემ გიჩივლებ და საქვეყნოდ შეგარცხვენო. სივეტონი ყოყმანობდა. სივეტონის საქმის გარჩევის წინა დღეს მის ოჯახში მენარი მივიდა, სივეტონის ცოლს ყველაფერი გამოუმჟღავნა, მერე თვით სივეტონიც მოიწვიეს და აი, სწორედ აქ გადასწყდა ბედი. მენარმა სივეტონს ხელმეორედ მოაგონა, ან თავი მოიკალი, ანაც საქვეყნოდ შეგარცხვენო. სივეტონი მაშინვე თავის ოთახში გასულა, მაყალი გაუღვივებია და ნახშირ მჟავით თავი მოუწამლავს. რადგან სივეტონის სიკვდილი იმის ცოლმაცა და მენარმაც წინდაწინვე იცოდნენ, ამიტომ ამათ, უეჭველია, პასუხის გებაში მისცემენ. ამ რიგად ნაციონალისტებისა და კლერიკალების ცილის წამება გამომჟღავნდა, ცილის მწამებელნი კი, როგორც თითქმის ყოველთვის, შერცხვნენ

—

პრეზიდენტის ამორჩევა შეერთებულ შტატებში — «რუს. ვედ.». შეერთებულ შტატებიდგან ატყობინებენ: „გამოქვეყნებულია ოფიციალურად პრეზიდენტის არჩევნების შედეგი: რუზველტს მისცეს 7,640,561 ხმა; პარკერს — 5,094,691; დებსს (სოციალისტია) 392,857 და 406,211 ხმა დანაწილდა რამდენსამე წვრილმან კანდიდატთა შორის. ამრჩეველები გაცილებით ნაკლები იყვნენ ახლა, ვიდრე წინანდელ არჩევნებზე.

წერილი

რედაქციის მიმართ

მიმდინარე დეკემბრის სამს რიცხვს „ივერიის“ მე-277 №-ში მოთავსებული იყო რეცენზია ბ-ნ თარხანისა ქუთაისში 28 ნოემბერს გამართულ წარმოდგენის შესახებ. რეცენზიაში ბ-ნი თარხანი, სხვათა შორის, ამბობს: «ქუთაისის დრამ. დასმა წარმოადგინა პირველათ ახალი პიესა მირბოსი «ფულის ძალა», თარგმანი თ. შველიძისა... რაც შეეხება თარგმნის ენას (ე «თარგმნის ენა რაღა უნდა იყოს, ნეტავი!?..), — ძლიერ სუსტია, სავსეა რუსიციზმებით, მოუხერხებელ ფრაზებით. მაგალ., რა ქართულია ეს: «თაგვები ჰყივიან ჯიბეში». თაგვები წრიპინებენ და არა ჰყივიან. «მდიდრები ღარიბებს ქურდევენ» (მაშ როგორ უნდა ითქვას?)» არ იცის მამამ, დილას რა გააკეთა და საღამოს რას იზამს“, იზამს — პირდაპირ რუსულ «сдѣлаетъ»-იდან არის ნათარგმნი. (სცდებით ბ-ნო თარხან, რადგან, როგორც ქვევით დაინახავთ, რუსულიდან კი არა, ფრანგულიდან არის ნათარგმნი!... «ეს სახლი მძიმეთ მაწევსო». აქ ის აზრი კი არ არის, რომ მართლა სახლი, ან შენობა აწევს მას და აწუხებდეს, ღმერთმა ნუ ქნას! (მერე ვინ ამბობს, თქვე კურთხეულის შვილო, რომ ეგ „აზრი არის“-ო!?) შენობა რომ დასწოლოდა, ხომ სულსაც ამოართმევდა, (ან იმას ვინ ამბობს, რომ, შენობა, მთელი სახლი თუ კაცს დააწვა, სულიც შერჩება და ხორციცო!...) მაგრამ აქ ის აზრია, რომ ახალგაზრდა ქალს ჟერმენ ლეშას მამას ოჯახი და იქ ცხოვრება ვერ აუტანია და იქ ცხოვრება (ამდენი «იქ ცხოვრებაც» აღარ გამიგონია, ღმერთმანი!) ეძნელებაო», — ათავებს რეცენზიას „თარგმნის ენის“ შესახებ ბ-ნი თარხანი.

მართალია, როგორც 28 ნოემბრის აფიშებიდან ჩანდა, პიესა «ფულის ძალა» ჩემი თარგმანით უნდა ეთამაშნათ, მაგრამ ნამდვილათ ეს ასე არ მოხდა, — პიესა «ფულის ძალა» ვლ. ლორთქიფანიძის თარგმანით ითამაშეს, იმიტომ რომ ქ-ნ ნ. ჩხეიძე არ იყო თანახმა, რომ ის როლი, რომელიც მას ამ პიესაში ორი თუ სამი კვირის წინათ ტფილისში ეთამაშნა (ჟერმენ ლეშას როლი) ბ-ნ ლორთქიფანიძის თარგმანით, ხელმეორეთ ესწავლა ისე, როგორც მე მქონდა ნათარგმნი, და როცა ქ-ნ ჩხეიძემ ასეთი პასუხი შემოთვალა (ეს იყო მაშინ, სამი თუ ოთხი დღე რო გავიდა აფიშების გამოშვების შემდეგ), ბ. მესხიშვილმა უმჯობესათ სცნო, რომ ბ-ნ ლორთქიფანიძის თარგმანით ეთამაშნათ, მით უფრო, რომ ეს პიესა ბ-ნ ლორთქიფანიძეს პირდაპირ ფრანგულიდგან აქვს ნათარგმანი. (მაშასადამე, ის აზრი ბ-ნ თარხანისა, რომ პიესა «რუსიციზმებით სავსეაო», შემცდარია, — ფრანგულიდგან ნათარგმნში რუსიციზმი კი არა, თუ მაინცა და მაინც, გინდათ მე მგონია, გალლიციზმი იქნება).

ამ გვარათ, ის საყვედური, „თარგმნის ენის» შესახებ, რომელსაც ბ-ნი თარხანი მიცხადებს მე, სრულებით უსაფუძვლოა. ამით მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ ჩემი თარგმანი უკეთესია მეთქი. — მე იმას ვამბობ, რაც იყო, რაც ნამდვილათ მოხდა.

თეოფ. შველიძე.

„ივერიის“ ფოსტა

სოსია-მთაზაველს. თქვენი „მეგობრის წერილი“ მალე დაიბეჭდება. მოგვიტევეთ, რომ ასე დავაგვიანეთ.

ვაკ ჯვ-ელს. გამოგვიგზავნეთ დანარჩენიც თქვენის სურათისა „გაპროლეტარდა“. გვინდა შეუდგეთ ბეჭდვას და საჭიროა ვიცოდეთ, როგორია განგრძობა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

9 დეკემბერი.

ტოკიო. (რეიტერი) იაპონელებმა მტრედის ნავთსადგურთან შესანიშნავი პოზიციები დაიჭირეს.

სინგაპური. (რეიტერი) «ლოიდის» ცნობის თანახმად, იაპონიის ორი სამხედრო გემი, ვგონებთ კრეისერები, დასცურავენ ზღვაში სინგაპურის წინ.

მუკდენი, 8 დეკემბერი (საკ. კორესპ.) აქ გავრცელებულია ხმა, აქაურს ძიან-ძიუნს წერილი მოუვიდა იაპონიის მთავარ სარდლისაგან, რომელიც სწერს, გამოდი მუკდენიდგან და გამოიყვანე, რაც შეიძლება, ბევრი მცხოვრები, რადგანაც დიდი ამბებია მოსალოდნელიო; ამბობენ, ძიან-ძიუნმა უყურადღებოდ დასტოვა წერილიო.

მუკდენი. (საკ. კორესპ.) იაპონელნი კვლავ თხრილებს აკეთებენ. გამბედავი თავგამოდებულნი შიგნით იაპონელთა ბანაკში, უნგრევენ შენობებს და მოჰყავთ ბევრი ტყვეები, დამძრალი ხელ-ფეხითა. თბილ ტანისამოსს და მაშველ ჯარს ელიან დეკემბრის ნახევარს დალნიდგან.

სევასტოპოლი. დილით ბერძენთა დედოფალი წავიდა საბერძნეთს გემ «ამფიტრიდათი». ზღვაზე დიდი ღელვა აცყდა და გემი 1 საათზე დაბრუნდა სევასტოპოლს.

პარიჟი. დილით გარეშე საქმეთა სამინისტროში მოჰხდა პირველი სხდომა საგამომძიებლო კომისიისა გოლის საქმის გამო; სხდომაზე კომისიის ყველა შუამავალნი დაესწრნენ, აირჩიეს მეხუთე წევრად ავსტრიის ადმირალი შპაუნი და სხდომა გადასდეს 27 დეკემბრისთვის.

ტოკიო, 9 დეკემბერი (რეიტერი). დღეს პორტ-არტურთან მყოფ ლაშქრის სარდალმა დეპეშით აცნობა, რომ დილის 5 საათზე მარჯვენა ფრთამ უკან დაახევინა რუსებს სიმაღლიდან სამხრეთად ხუსანიანიდაოდან მტრედის ნავთსადგურთან და დაიჭირა ეს პოზიცია. 7 საათზე იაპონელებმა მეორე სიმაღლე აიღეს ხუსანიადაოდან დასავლეთად და ხელთ ჩაიგდეს წვრილი ყალიბის ზარბაზნები. რუსებმაც მიიტანეს იერიში, მაგრამ ამაოდ.

სინგაპური, 9 დეკებერი. (რეიტერი). დილით იაპონელთა ორი კრეისერი მოვიდა, შუადღისას ისევ წავიდნენ. იმათ აუწყეს — ახლოს არის იაპონელთა ორი ჯავშნიანი გემი, ორი კრეისერი პირველის რანგისა, ორი მეორესი და თორმეტი ნაღმოსანი. ყველა ეს გემები დასავლეთისაკენ მიდიან.

სტამბოლი. გარეშე საქმეთა მინისტრმა ნახა ელჩები შეთანხმებულ სახელმწიფოებისა. როგორც სჩანს, პორტა დასთანხმდება გააძლიეროს გარეშე სახელმწიფოთა აფიცრების რაოდენობა მაკედონიის ჟანდარმერიაში. ხმაა, რომ პორტა სთხოვს მსოფლიო პატრიარქსა გამოიხმოს სალონიკის, მონასტირის და კასტო-

---

[1] ლეგალური გაზეთია, რომელიც გამოდიოდა 10 წელიწადზე მეტს ხანს.

ხოლმე ულვაშებიდგან გაყინულ ამონასუნთქსა, რომელიც მეტის-მეტის საცივისაგან იყინებოდა. აი მოაღწია კიდეც შინამდის. ძაღლი, რომელიც რამდენსამე ალაგას დაფლეთილი იყო, წკმუტუნით მიეალერსა თავის პატრონს და რამდენჯერმე შეახტა კიდეც ზედა. თედომაც თავზედ ხელი გადუსვა თავის მურას, რომელსაც იმაზედ არა ნაკლები წილი ედო ქურდობაში. თედომ შეაღო ფრთხილად კარები. ბაღლები უფრო ძალიან მოკრუნჩხულიყვნენ და ჩაჰკვროდნენ ერთმანეთს. თებროს ისევ ეძინა, პირი გაეღო, რომ შეძლება მიეცა თავის დასუსტებულ ფილტვებისათვის თავისუფლად სუნთქვისა. თედომ მოიხსნა გუდა, ჩამალა განჯინაში, წამოიხურა თავისი ძველი და ათასგან დაკერებული ფარაჯა და მიეგდო თავისს შვილებთან ჭილობზედ.

მეორე დღეს თედო ადრიან წამოდგა. გაირჭო ნაჯახი წელში და ტყისაკენ გაიპარა. ეს ტყე ეკუთვნოდა თავადიშვილს, რომელიც ყოველ ღონის-ძიებით აწუხებდა გლეხებს. «წკირს არავის გამოვატანინებ უფასოდაო», იძახდა ხოლმე მიხაკო (ასე ერქვა სახელად) და ვაი იმას, ვისაც მოასწრობდა ტყეში! შებრძანდებოდა ცხენზედ ყოველ დღე, გამოიდევნებოდა ორს მეველეს და ნადირობდა: «ეგები მოვასწრო ვისმეს ტყეში და ერთი ათად გადაახდევინოო». ყოველივე ეს იცოდა თედომ, მაგრამ გაჭირვებამ აიძულა უბილეთოდ შეპარულიყო მიხაკოს ტყეში. თედომ როგორც ზემოთა ვთქვით, ღამიანათ გასწია ტყეში. როგორც იყო მშიერი და გადახრწნილი შევიდა ტყეში იმ მხრიდგან, საიდგანაც არ მოელოდდა მიხაკოს. ამოარჩია ხმელი ხეები, გააშორა ნაჯახით წვრილი ტოტები, შეჰკრა მოზრდილი გუდურა და მიაფარა უშიშარს ალაგას. გარდასწყვიტა წამოსულიყო ტყიდგან იმ დროს, რომ სოფელზედ ბინდისას ჩამოეგლო, ეგებ არავინ დამინახოს და მიხაკოსთან არ დამაბეზღონო. აგერ სამხრიაბამ მოატანა. „ახლა კი დრო არისო“, გაიფიქრა თედომ, წამოიკიდა გუდურა და შინისაკენ გამოსწია.

ერთი მეველე, რომელიც ყველაზედ უფრო ერთგული იყო მიხაკოსი, ყოველ დღე დაძრწოდა ტყეში, ეგებ მოვასწრო ვისმე და გამოვგლიჯო რამეო. მიხაკო ძალიან აფასებდა იმის ერთგულებას და ყოველთვის წართმეულის ნაწილს იმას აჩუქებდა ხოლმე. აი სწორედ ამ მეველემ შეამჩნია კვალი, რომელიც მიხაკოს ტყეში შედიოდა. გამოუჩნდა თავისი საკბილო საქმე და ხელად მიხაკოს შეატყობინა. მიხაკომ მაშინვე შეაკაზმვინა ცხენი, შეჯდა და გაიდევნა უკან თავისი მეველეები.

«ჩემის შიშით ფრინველიც კი ვერ შედის ჩემს ტყეში და ვის ოხერს გაუბედნია ქურდულად შეპარვა.» მალ-მალ წაილაპარაკებდა ხოლმე მიხაკო და თან თავის მაღალს, გრძელ ბეწვიანს ფაფახს ისწორებდა, მოსვენებას არ აძლევდა აგრეთვე ულვაშებს, რომელიც ბევრის გრეხისაგან ისე ჰქონდა დაწკეპილი, რომ ადამიანს ნევსის წვერები ეგონებოდა. მიხაკო გაიყურებოდა აქეთ-იქით ქორივით და, როცა ვერაფერს დაინახავდა, გადაჰკრავდა ცხენს მათრახს, ამოჰკრავდა ქუსლებს გვერდებში, თითქო იმაზედ ყრილობს ჯავრსაო, რაკი თავისი მსხვერპლი მალე ვერ იგდო ხელში.

თედო დამშვიდებული მოდიოდა. აგერ შებინდდა კიდეც. თუმცა საშინლად დაიღალა და ოხვრასაც მოუმატა, მაგრამ თავისას არ იშლიდა და ვებერთელა გუდურა მიჰქონდა შინ. უცებ რაღაც ხმაურობას მოჰკრა ყური. ჯერ არ დაუჯერა თავის თავს. ხმაურობა თანდათან ძლიერ დებოდა და თედომ გაარჩია ცალკ-ცალკე სიტყვები აი მოახლოვდნენ კიდეც. «როგორ ავადენ ზურგზედ ბოლს», ლაპარაკობდა მიხაკო, «ჯერ თუ არ უნახავს ჩემი სუსხები»?! თედოს თავზარი დაეცა, როდესაც გაიგონა მიხაკოს ხმა. უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ სად დამალვებოდა? ბოლოს გარდასწყვიტა შეებრალებინა თავისი ჭაღარა თავი და ღარიბი ცოლ-შვილი.

— აა! შენა ბრძანდები. კუზიანო თედო! — წამოიძახა სიხარულით მიხაკომ, როდესაც თვალი მოჰკრა. — ჩემი შიშით ჭიანჭველას ვერ გაუვლია აქა და შენ როგორ გაბედე უბილეთოთ შემოჩერჩეტება?!

— შემიბრალე, ბატონო, ცოლ-შვილი სიცივით მეხოცება! კანკალით წაილუღლუღა თედომ.

— მერე, ჩემი რა გადასახადია, რომ გცივათ. დააგდე ჩქარა გუდურა! აბა, ბიჭებო, წაართვით ნაჯახი და მაგრა შეჰკარით, — წამოიყვირა მიხაკომ.

თედო გაყვითლდა, მუხლებმა კანკალი დაუწყო.

— შემიბრალე, ბატონო, ცოლ-შვილი სიცივით მეხოცება, — დეედრიჯა კიდევ თედო და განაგრძო სიარული

— შენ არ გესმის, გამოყეყეჩებულო? დააგდე მეთქი გუდურა! დაუყვირა მიხაკომ, მიაგდო ცხენი და დაუწყო მათრახით ტყაპა-ტყუპი ზურგზედ.

ერთმა მეველემ დაუწყო ნაჯახის წართმევა. თედო გაძალიანდა და არ ანებებდა ნაჯახს.

— დაჰკარით ამ ოხერს! კიდეც რომ მიძალიანდება?! — დაუყვირა მიხაკომ მეველეებს.

თედომ ერთხელ კიდევ გაჰბედა შეხვეწნა.

— ბატონო, შემიბრალე ჩემი ჭაღარა...

— ვეღარ დაათავა თედომ ეს სიტყვა, რომ უკანიდგან დალურსმული კომბალი მოჰხვდა თავში. თედო წაბარბაცდა, თვალთ დაუბნელდა, და თავის გუდურით ძირს დაეცა გრძნობა და გონება დაკარგული.

— შენისთანებს ეგრე უნდა! — ყვიროდა მიხაკო.

თედოს შადრევანივით გადმოსდიოდა სისხლი თავიდგან, მოაყოლა ყელში ხრიალი, გაშალა ხელები, ნახევრად და უკანასკნელად კიდევ გაახილა თვალები, რომ სამუდამოდ დაეხუჭნა...

მიხაკო ამას არ მოელოდა, კარგად იცოდა ამის შედეგი. ამიტომ თავის მეველეებს უბრძანა გადაეგდოთ სადმე მივარდნილ ალაგას თედოს გვამი და არავისთვის გაემჟღავნებინათ ეს საქმე.

ბიჭებმა მაშინვე ასწიეს თედოს ჯერ კიდევ თბილი სხეული და ერთ ღრმა ხევში გადაუძახეს. თანვე გადააყოლეს ნაჯახიცა.

ქარი კი ისევ ღმუოდა და უხვად აყრიდა თოვლს თედოს უსიცოცხლო გვამსა...

მიხელა.

რიის მიტროპოლიტები, რომელნიც შეურაცხყოფილ იქმნენ საბერძნეთის მთავარ კონსულისაგან წერილით ბერძენ ჯუფთთა ბელადის სახელზე. ამ წერილში, რომელიც ოსმალებს ჩაუვარდათ ხელში, ნაჩვენებია, როგორ უნდა მოიქცეს ბელადი.

საღამოს დეპეშები

10 დეკემბერი.

პეტერბურგი. ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს სვეჩინს უმაღლესად ებრძანა ტფილისის გუბერნატორად იყვეს და ებოძა გენერალ-მაიორობა. გაზეთს «ნაშა ჟიზნ»-ს მავნებელ მიმართულებისათვის შინაგან საქმეთა მინისტრმა გადასწყვიტა გამოეცხადოს პირველი გაფრთხილება. ტამბოვში შეკრებილმა 250 სხვა და სხვა წოდების კაცმა მიჰმართეს შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგის დეპეშით: «მოწიწებით გთხოვთ თქვენო ბრწყინვალებავ, უმდაბლესად მოახსენოთ მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ჩვენნი უქვეშევრდომილესნი გრძნობანი 250 ზე მეტის ყველა წოდებათაგან შემთხვევით შეკრებილთა რუსებისა ქ. ტამბოვში, და მათი შეუმდრკალი რწმენა, რომ მხოლოდ ერთს თვითმპყრობელს ხელმწიფეს შეუძლიან რუსეთი გამოიხსნას იმ გაჭირებულის მდგომარეობიდგან, რომელშიაც ჩააგდო მის შინაურ მტერთა მცირე გუნდმა დამსწრეთა მონდობილებით პატრიოტული სადილის გამგე ნაფიცი ვექილი გაბრიელ ნიკოლოზის ძე ლუკენოვსკი». უქვეშევრდომილესად შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების დროს აღნიშნულ დეპეშაზედ მისმა უდიდებულესობამ ინება წარწერა: «სიამოვნებით წავიკითხე».

ბორდო. 9 დეკემბერი. როჟესტვენსკის ესკადრის ოთხი აფიცერი მოვიდა საფოსტო გემით ლიბერვილიდგან. როცა შეეკითხნენ, სწორე პასუხი არავის მისცეს. მხოლოდ ლეიტენანტმა ვალ-რონდმა, რომელმაც პროჟექტორები მიანათა «კამჩატკიდგან», გამოაცხადა რომ გოლის საქმის შესახებ გამომძიებელ კომისიას წარუდგენ ნამდვილს საბუთებსაო, რომ მე სრულიად ცხადად გავარჩიე მეთევზეთა ფლოტილიის შორის ნაღმოსანი გემებიო, რომლებზედაც მე თვით მივაშუქე პროჟექტორებიო. ვალ-რონდს როჟესტვენსკისაგან მინდობილი აქვს პეტერბურგში წასაღებად მეორე დაწვრილებითი მოხსენება და მეტად საყურადღებო საბუთები.

შანჰაი. 9 დეკ. ძლიერმა იაპონელთა კრეისერების ესკადრამ გაიარა სამხრეთისაკენ ჩინეთის ზღვაში ადმირალის კამიმურას უფროსობით ბალტიის ესკადრის გზაში დასახვედრად.

კონსტანტინოპოლი. 8 დეკ. მინისტრთა საბჭომ მთელი დღე ითათბირა. ხელ ახლა გაარჩიეს ინგლისთან დასადები კონვენციის საქმე ადენს იქით მდებარე ტერიტორიისა და მაკედონიის ჟანდარმერიაში დანარჩენ უცხოელ აფიცერთა დანიშვნისა. ეჭვს გარეშეა, რომ ორივე საქმე სასიამოვნოდ გადასწყდება იმათთვის, ვისაც ამ საქმეებში ინტერესი აქვს. უეჭველია რომ ხონთქარი დსთანხმდება და შეიწყნარებს დიდის ვეზირისა და გარეშე საქმეთა მინისტრის სამსახურიდგან გადადგომასა.

ტოკიო, 9 დეკ. (რეიტ.). მოვიდა დეპეშა ადმ. ტოგოსი, ჩვენმა ესკადრამ შეიპყრო ტყვე, რომელმაც სთქვა, მართალია მოხსენებანი «სევასტოპოლის» საწინააღმდეგო მიმართულ იერიშების შესახებაო. 30 ნოემბრიდან „სევასტოპოლს“ მოჰხვდა 8 ნაღმი, მათ შორის ერთმი იფეთქა მარჯვედ. ეგ ის ნაღმი უნდა იყოს ალბად, რომელიც გასროლილ იქმნა 2 დეკემბერს ღამე, რადგან სწორედ 3 დეკემბერს დილით ფაცა-ფუცი შეუდგათ „სევასტოპოლის“ მეზღვაურთ. იაპონიის ნაღმს უფეთქნია ძლიერებით და შეუნგრევია გვერდი გემისათვის ერთის საჟენის სიგრძეზედ. ამ ჟამად «სევასტოპოლის» ბოლო გარიყულია. იმ ადგილას, საცა ზარბაზნებია დამაგრებული, წყალი სწვდება. გემი მარჯვნივ არის გადაზნექილი, ერთი ნაღმოსანი და ორი სხვა გემი წყლის ამოხაპვას უნდებიან ჯავშნოსანიდან. 3 დეკემბერს ღამე ნაღმი დაეტაკა რუსთა ნაღმოსანს და გემი გაირიყა.—„სევასტოპოლს“ ბაღუ არა აქვს წინა მხრიდან. — ტოგოს მეორე მოხსენებაში ნათქვამია, რომ “სევასტოპოლი„ სდგას გარე რეიდის თავ-თხელში. რუსნი შიგ ჩასულის წყლის ამოხაპას უნდებიან. გემი გადაზნექილია 10 გრადუსზედ. ცხვირი ნახევარზედ წყალშია. იმედი არ არის, გემი იმდენად შეკეთდეს, რომ ზღვაში გასვლა შესძლოს. ტოგოს აზრით, „სევასტოპოლი“ ბრძოლას ვეღარ შესძლებს.

სინგაპური, 9 დეკ. (რეიტ.). დღეს მოსულმა იაპონიის ორმა კრეისერმა, სავაჭრო გემებად ნამყოფებმა „ნიპონმარუმ“ და „გონგომარუმ“ მოუტანეს იაპონის ელჩს დეპეშები ადმირალ კამიმურასი.

ჩიფუ, 9 დეკემბერი (რეიტ.). ხმა ისმის, რომ რუსთა რვა კონტრ-ნაღმოსანმა მოახერხა და პორტ-არტურს თავი დააღწიაო. პეჩილიის ყურეში ამ უკანასკნელ დროს დიდი ქარ-ბუქი მძვინვარებდა.

პარიჟი, 9 დეკ. (რეიტ.). ხელთ ჩაიგდეს დეპეშა, რუსის ესკადრის მიერ გაგზავნილი უმავთულო ტელეგრაფით. დეპეშაში საყურადღებო ცნობები ჩრდილო ზღვის ამბის გამო. დეპეშა ინგლისის მთავრობასა აქვს ხელთა და უნდა ვიფიქროთ, დიდი მნიშვნელობა ექნება იმ მხრივ, რომ გამომძიებელ კომისიას დაუმტკიცებს ინგლისის სიმართლეს.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენ.-ად. კუროპატკინისა 9 დეკემბრის თარიღით: „9 დეკემბერს ბრძოლის ამბავი არა მოსულა-რა. 8 დეკემბერს მოწინავე რაზმთა შორის შებრძოლება იყო. რამდენიმე იაპონელი მოიკლა, ხოლო ორი ტყვედ იქმნა შეპყრობილი. ეს ტყვენი დღეს მე თვითონ ვნახე. თბილად არ იყვნენ ჩაცმულნი, მეტადრე ფეხთ არ ეცვათ შესაფერად. დღესვე ვნახე ქსენოსში იაპონელნი, რომლისათვის დამძრალი ფეხი მოუჭრიათ. დღეს კარგი დარი იყო, მაგრამ ყინვა 15 გრადუსამდე დავიდა. ყოველსავე ზემოხსენებულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას“.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

7 დეკემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,35
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,50
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	91½ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	89½ ნ. გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	425 ნ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	318 წ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	266½ წ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	90½ წ. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	87⅛ წ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკდომრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო №. 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.) საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა».

ტფილისში:

1) სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში. ღია არის
დილის 10—2 საათ.
საღამ. 5—7 „
კვირა-უქმეს—დილ. 11—1 „
2) ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ.; № 131. ღია არის
დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—9 „
3) ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
ღია არის დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—8 „

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

გამოვიდა და ისყიდება

კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

ფასი 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

გამოვიდა და ისყიდება

ახალი წიგნი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: **книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.**

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკმა

8 ნოემბერს 1904 წელს მოახდინა ორმოც და მეცხრამეტე ტირაჟი ამ ბანკის გირავნობის ფურცლებისა

ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლების განაღდება დაიწყება 2 იანვრიდგან 1905 წელსა:

ტფილისში — ბანკის კასსაში; პეტერბურგში — პეტერბურგის სახელმწიფო ბანკში და ყველა მისს განყოფილებასა და კანტორებში, პეტერბურგის საუჩოტო და გამსესხებელ ბანკებსა; ლიონის კრედიტსა და ყველა იმის განყოფილებაში; პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკსა, პეტერბურგის საერთა-შორისო საკომერციო ბანკსა და ყველა იმის განყოფილებაში, ი. ვ. იუნკერისა და ამხ. საბანკირო სახლში და ყველა იმის განყოფილებაში, გ. ვაველბერგთან, აზოვსკო-დონსკის საკომერციო ბანკსა და ყველა მისს განყოფილებაში; ოდესაში — ბ-ნ ო. ხაისთან; მოსკოვში — მოსკოვის საუჩოტო ბანკსა, მოსკოვის საერთაშორისო სავაჭრო ბანკსა, და ყველა იმისს განყოფილებაში, ძმ. ჯამგაროვების სავაჭრო სახლში; ვარშავაში — ვარშავის საკომერციო ბანკსა, ტაგანროგში — აზოვო-დონის საკომერციო ბანკსა და ყველა იმის განყოფილებაში; რიგაში — რიგის საკომერციო ბანკსა და იმის განყოფილებაში; რეველში — ბალტიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკში.

ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებს თან უნდა ახლდეს ყველა კუპონი, რომელსაც ვადა 1905 წლის 2 იანვრის შემდეგ გასდის. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაკლებულ კუპონების ფული დაჭერილი იქმნება გასატან თანხიდან.

ნომრები 5% გირავნობის ფურცლებისა, რომელიც მე-58 ტირაჟში გამოვიდა.

100 მანეთიან ლირებულებისა.

ვადით.			უვადო.			
29 წ. 9 თ.	36 წ. 4 თ.	61 წ. 8 თ.				
58	219	975	175	2556	3636	5398
81	230		176	2557	3736	5541
	366		245	2646	3902	5552
	392		512	2740	3903	5572
	688		548	2845	3921	5608
	1433		829	2977	3964	5632
	1564		1067	3016	4003	5848
	1587		1253	3125	4006	5896
	1914		1277	3198	4185	5973
	1952		1354	3218	4190	5992
	1968		1414	3268	4787	5993
	1984		2157	3288	5033	6444
	2004		2235	3290	5151	6499
	2052		2481	3321	5352	
	2172					

500 მანეთიან ლირებულებისა.

ვადით. 36 წლ. 4 თვ.		უვადოდ.						
107	32	869	1124	1136	1968	2700	4310
188	57	879	1126	1167	2108	2791	4440
352	208	945	1130	1185	2109	3396	4701
825	504	954	1131	1607	2592	3470	4824
855	511	972	1132	1608	2593	3643	
	846	1021	1133	1933	2614	4121	

1000 მანეთიან ლირებულებისა.

ვადით. 36 წ. 4 თ.		უვადო.			
262	455	3803	6217	8562	13994
991	482	3879	6223	8838	14996
1049	692	4287	6224	9755	15101
	831	4416	6225	10124	16178
	1170	4417	5226	10208	17432
	1400	4615	6989	10218	
	1775	4709	7048	10531	
	1858	4869	7049	10881	
	2149	4871	7547	11140	
	2150	5015	7776	11705	
	2176	5180	7777	12151	
	2763	5594	8459	13140	
	3171	5601	8545	13304	
	3305	5713	8547	13336	
	3326	6017	8561	13353	

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილი 5 მოქმედ დრამა-ლეგენდა

ლალაჩი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წინგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრეძვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

Дозволено цензурою Тифлисъ, 10 декабря, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи